

კურთხულ  
გამოისახეთ  
1919.  
N 4.  
n.s.w. 90

3309/2  
1919/2

ცასი 6 მანათი.

№ 4.

# ქართველის მათრძელი

ბერია,  
დეკემბრის 14  
1919 წ.

თრი გენერალი



19554

4593

ჰინდუსტურები. 200 წლის წინათ თქვენმა გენიოსმა მეუემ პლტრე დიდია სოქეა: თუ რაჭები გვაქისას შეეტანას დაიღუპებაო. 50 წლის წინათ ჩვენმა გენიოსმა ბისმარკმა სოქეა: უკეთუ გერმანია რუსეთს შეეტანადიდაბაო. რა--  
თავეს წინასწარმეტყველება გმბართლდა...

დენიკინი. ეს კარგ და პატიოსანი: ორმა ჭკვიანმა იწინასწარმეტყველა და ასრულდა, ამა შენ ასე არ ხდია. მა--  
სამე ჭკვიანი ვინზე ხომ არ გვაულება რომ გვირჩიოს მომავალში როგორ მოვიქცეთ.



„ეშვაკის მათრახის“ რედაქციისაგან

მოქალაქენო! დეკემბრის 12 თვეილისმა იდლე-სასწაულთა სახალხო გვარდიის არსებობის ორი წლის თავი. ყაველი რესპუბლიკის ერთგული მოქალაქე ვალდებული იყო ამ ღიდ დღეს ხელ-გაშლით შეხვევროდა და დაეთმო მისთვის, რისი დათმობაც კი შეეძლო.

ჩვენც ამ ბეჭირ დღეს სახალხო გვარდიისა-თვის დავთმეთ მთელი ნომერი „ეშვაკის მათრა-ხისა“

ერთის შეხედვით ჩვენი დათმობა თითქო დიდს არაფერს წარმოადგენს მაგრამ ვინც მეტის დაკვირვებით ჩატედავს საგანს, ის სრულიად წინა-აღმდეგ ში დარწმუნდება.

მართლაც, წარმოიდგინეთ მთელი ნომერი „ეშვაკის მათრახისა“ ეგრეთ წუდებული სერიო-ზული წერილებით სავსე! ამგვარი სანახაობა იქნებოდა, ვსოდათ ვალიკო ჯუდელისათვის რომ ანაფორა ჩაგეცმიათ და ქუჩაში ისე გამოგეყვანათ.

წარმოიდგინეთ, „ეშვაკის მათრახი“ სრულიად უვნებელ ილიუსტრაციებით აჭრელებული, უკარი-კატუროთ და უმათრახოთ. მსგავსი სანახაობა იქ-ნებოდა თქვენ რომ ალექსანდრე დეგბუაძისათვის კუტუზოვის დროინდელი გენერლის ფორმა ჩაგე-ცმიათ და ისე გამოგეყვანათ გვარდიის წინ.

თქვენ ამას არ იზამო. არ იზამს არც ვალიკო, მით უმეტეს არც ალექსანდრე.

ჩვენ კი ისე გვიყვარს გვარდია, რომ მისთვის ერთი ჩვენი თანამოქმედთაგანი გავსწირეთ.

## გვარდიელის დღიურიდან.

ჯერ კიდევ ორი, თუ სამი წლისა ვიქნებოდი, როცა სამხედრო ნიჭის პირველი ნიშნები გამო-მაჩნდა. ახლაც მშვენივრად მახსოვეს ჩემი, ასე ვსოდათ, პირველი აქტიური გამოსვლა, როცა დედა-ჩემმა შაქრის ნატეხის მოცემაზე უარი მითხო, თა-როდან ლამაც გადმოვაგდე და დავმტვრი.

რა თქმა უნდა, არსებითად აქ ღიდი არაფე-რია. დღევანდელი „კომუნისტები“ ხალხით სავსე მატარებელს ამსხვრევენ, მაგრამ სახეში უნდა მიი-ლოთ ის გარემოებაც, რომ მე მაშინ ორი თუ სა-მი წლისა ვიყავი და ესენი კი უკვე დიდრონები, ნასწავლი და მომზადებული ხალხი არია.

იმ შორეულ დროდან მოწყებული, რაც ხანი მოდიოდა, მე ჩემს თავს აშკარად ვატუობდი სამხე-დრო ნიჭის ზრდა-განვითარებას და როცა ჩვენს მოსამსახურე ბიჭს, ჩვენს ოჯახში მოსვლის პირ-ველ დღესავე, შუბლში ქვა გავარტყი და გავუხეთ-ქვე, ყველა შინაურებს ჩემდამი შურის გრძნობა

აღვუძარი და უფროსი ძმა იმდენათ შეიპყრო ამ გრძნობამ, რომ გასალახავათაც დამედევნა.

დღევანდელის მასშტაბით რომ შეეხდოთ ჩემი მოქმედების მიზანშეწონილობას, თითქო ესც უბ-რალო რამეთ, მაგრამ ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ქვა კარგა შორე. მანძილიდან ვესროლე.

ამ შორე წასრულში ექსკურსიით და ჩემი სამ-ხედრო ნიჭის აღნიშვნით მე სრულიადაც განზრახ-ვა არა მქონია თავის ქებისა, ვინაიდან კარგათ ვიცი „თავის ქება კიტრათ ღირს და კიტრი კი ცხრა თუმნათ“. ამ პატარა ექსკურსიით მე მსურდა მეჩვენებია თქვენთვის, თუ რამდენათ შორს მჭვრე-ტელია ჩვენი გვარდიის ბელადი, ვალიკო ჯუდელი, რომელმაც ერთას შეხედვით შემატყო რაც შეი-ლი ვიყავი და გვარდიაში ჩამრიცხა.

მივიღე თოფი და ტყვიები.

— ჯერ ხანად, ჩემო ეშვაკო, აი აქ, ქალა-ქის მახლობლად ივარჯიშე საღმე და შემდეგ ბრძო-ლაში წაგიყვანო, მითხო ვალიკომ და ჩემი გული სიამოვნებით აივსო.

სახლში დაბრუნებისთანვე შევუდექ ჩემი თო-ფის აწერას და თუ ვისმე აინტერესებს ეს მშვენი-ერი მოთხრობა გადასინჯოს „ეშვაკის მათრახის“ ნომრები 1917 წლისა. იქ იპოვის.

მთელი ღამე არ მიძინია და ამისთვის დილით აღრე გამელვიძა. ჯერ პირიც არ დამებანა, რომ თოფი გასტმინდე და ზეთი წავლესი. ჩემზე უბედ-ნიერები შეიძლება მარტო გერასიმე იყო, რომელ-საც ერთის მაგივრათ შეიდი სხვა და სხვა სისტე-მის თოფი ჰქონდა და იმათ წმენდაში ატარებდა დროს.

პირველი დღე მშვენიერი დღე გამითენდა... მზე თითქმის საშვალეოზე იყო ასული, როცა ვაკე გავათავე და წყნეთის გზიდან მთაში ავუხევი. იჩვლივ ტრიალი ფერდობი მწვანე ჯეჯილით შე-მოსილი. სრული სიჩუმე და თვისუფლება. ნიავიც თითქო მომკვდარიყო, ოღავ არ ირხეოდა მწვანე და ნორჩი ჯეჯილის ფოთლები. აქ რა თქმა უნდა კაცი გულდამით და ბეჯითად იმეცადინებ.

კარგა ხანს ვსტკებოდი ამ მომხიბლავი მშვე-ნიერებით და თან გამოცდილი მეომრის თვალით ვეძებდი რაიმე მოხერხებულს სამიზნო საგანს. ჩემი ყურადღება მიიპყრო შორს, ხევის პირად ამწვანე-ბულმა სამად-სამა ბურქმა. მოელს იმ ფერდობზე მხოლოდ ჯეჯილის ხავერდი იყო გადაფენილი და ეს სამი ბურქი ისე ობლად და საწყლად მომწვენა, რომ კინაღამ ავტორი. ბურქის ახლო კარგა მოზ-ღილი თეორი ქვა ეგდო დააი ერთად ერთ სამიზნო საგნათ სწორედ ეს ქვა მივიჩნიე.

ქვა ბურქებილან მარცხნივ ხუთიოდ საექნის მა-ნძილზე იდვა და ისე მკაფიოდ მოსჩანდა მწვანე ჯე-ჯილის საფარზე, როგორც მზე ცის ლაუვარლში.

და თეთრი ქვის შორის და თოფის სანიშნო დაახ-სლოვებით ათას ნაბიჯზე დავაყენე. წამოვწექ მო-  
ლზე, გავიწვინე თოფი და მრისხანე გრიალმა მძლა-  
ვრათ შეარყია მყუდრო ჰაერი.

თეთრი ქვის მარცხნივ, სულ ახლოს, დაახლო-  
ვებით შვიდ-რვა საქებზე, მტვერის კორიანტელი  
ავარდა, რამაც მანიშნა ტყვის მოხვედრების ადგილი.

როცა მეორედ სროლას გავემზადე, ჩემი ყუ-  
რადლება მიიპყრო ბუჩქების არა ჩემულებრივმა ქა-  
ნაობამ.

— ნუ თუ ასე შორე მანძილზე ტყვიის  
ქარმა ბუჩქები ამზომ მძლავრათ შეარხია? ვფიქრო-  
ბდი მე და მეორე სროლისათვის ვემზადებოდი.  
კვლავ გაისმა გრიალი და მტვერი ქვისა და ბუჩქების  
შეა ავარდა. ცხადია ახლა მარჯვნივ მეტი ავილე  
ვიდრე საჭირო იყო. მეორეს მესამე მივაყოლე, მე-  
სამეს მეოთხე და თეთრი ქვის ირგვლივ მტვერის  
კორიანტელი ავაყენე. ბუჩქი პირდაპირ ქანაობდა  
ტყვიის ქანისაგან, როგორც ნორჩი ლერწამი ქა-  
რიშხალის დროს.

უცებ მწვანე ფოთლებზე თეთრი ბაირალი გა-  
მოჩნდა და რაღაცამ თითქო თავიც გამოჰყო. შე-  
მართული ჩახმახი დავუშვი და გაშტერებით დავა-  
ცერდი საიდუმლო ბუჩქებს. თეთრი ნაკე-  
რი კვლავ მკაფიოთ მოსჩანდა, ხოლო ბუჩქი  
კრთოდა, როგორც შვლის ნუკრი. მე ბორცვს ამო-  
ვუწექი და ცქერათ გადავიქეცი.

— ნეტავ რა უნდა იყოს იმ ბუჩქებში ვფი-  
ქრობდი მე და გონს ვერ მოესულიყავ, როცა მწვანე  
ფოთლებიდან სიფრთხილით და შიშით გამოძერა  
მაღალ-მაღალი ახალგაზრდა უცხოელი ოფიცერი და  
მცირე ხნის შემდეგ მას მოჰყევა ახალგაზრდა, მშვენიერი  
ასული. ისინი უხმოდ დაეშვენ დაბლა, პატარა ბი-  
ლიკით და ქალაქისკენ გამოეშურენ.

მე კარგა ხანს გონს ვერ მოვედი. თოფი ხე-  
ლში შემაცვდა. ვთიქრობდი და ვერ წარმომედგინა  
თუ რა უნდოდა ამხალხს იმ ბუჩქებში: ალბათ, წი-  
გნს რასმე კითხულობდენ. ცხადია.

როდესაც ეს სასწაული ვალიკოს ვუამბე, მან  
მამაშვილური დარიგების კილოთი მითხრა:

— კიდევ კარგი, ჩემო ძმაო, რომარ შემოგაკ-  
ვდა ის ოხერი, თორებ ვინ იცის რას გამოიწვევდა  
ეს ამბავით.

ამის შემდეგ მე წყნეთის მხარეს თავი დავა-  
ნებე და სავარჯიშოთ მთაწმინდისაკენ ვიწყე სია-  
რული.

### ეშმაკი.

## შექანჯალებულის ლექსები.

ევრი ბიჭო, ევრი და ევრი.  
ჭინ მიღვას ღვინით გავსილი ქვევრი..

თუნგით გადავკარ და დავითვერი,  
ეხლა მსურს ყველას ვადინო მტვერი,

I

აბა, ევრი და... ევრი და ევრი!!..  
დამფუძნებელი კრებისა წევრი  
მინდა რომ ვიყო.... ან და კონსული  
უცხო ქვეყნიდან აქ ჩამოსული,  
ან სენატორი, ან და მისია,  
სახლებს რომ ვუყო რეკვიზიცია  
თორემ ქუჩაში ვრჩები ბიძია..  
ერთი ოთახი — მიგ ერთად ათი:  
თებრო, ივანე... კესო... აღათი....  
ორი პეტრონა — ათი ოთახი...  
თფური! დაიქცეს თქვენი ოჯახი!  
საიო წავიდე, თავს რა ქდას ვახლი,  
რა ვქნა, რომ ვერსად ვიშოვნე სახლი.  
ესროლე ბადე! ჰე, მირბის ძალი..  
მაშ, დაედვენე, სდიყ და დალლი..  
ტფილისს დალუბავს ძალლები ბევრი.  
ევრი ბიჭო და... ევრი და ევრი!!..

II

ირის ეინეეემ! სპიჩქიი პაპიროოოს!  
ოჯ, გამარჯობა შენი მარტიროს!  
სოჭვი, ბედმა სანამ უნდა გვატიროს,  
იმ სახლებში ვინ დაიკვარტიროს,  
დღეს რომ მოავრობა დაცლას უპირობს?

III

„ინდოეთი ხეზე უნდა გავიდეს,“  
ტფილისიდან ლიშნი ხალხი გავიდეს?!  
ათ ოთახში მაშინ უნდა შავიდე!  
დღეს მე პირში ერთი ლუკა ჩავიდე,  
ლხინი მიყვარს, ამას შენც კი მიხვდები....  
ფეხსაცმლილან გამომექცა თითები...  
არც შეშა მაქეს, არც ნახშირი, არც ფიჩი  
პაპიროოოს, სპიჩქი,!.. პაპიროს სფიჩქიიიი!!!

IV.

დრანანანინა, ნინა და ნანა!!!  
მოდი, მიყვარეთ, ვსოდეთ გამოცანა:  
ქავამი გვაძლევს, მოთეთრო არის,  
ალღომას წითლად გვაქვს შელებილი,  
თუ გსურს გასინჯო მიარტყი კბილი,  
ერბოში — ერბო-კვერცხია ტკბილი.  
ვინც ახსნით გიძლვნით ჩოხას, ქალს — კაბას,  
სოჭვით, ვის უმშვენებს დღეს იგი ტაფას....  
მე კი ყოველ დღე, ძმაო, ვმარხულობ,  
ყველასგან მუდამ ფულებს ვსესხულობ,  
იქნება კიდევ გექნეს-ლობით,  
მასესხე ცოტა, ჩემო სოფიო,  
დღეს სტუმრები მყავს, უნდა მოვხარშო...  
ერთხელ, სადღაცა კი ვებამე ხარჩო...  
მახსოვს, კინაღამ უცბად დამახრჩო!  
რამდენს უმატებ ფასს დღეს პურს დარჩო...“

შენია, შენი, ქვეყანა, ჩარჩო!  
ჩემს ფანჯრებს არც ერთს არა აქვს ჩარჩო...  
თავი მაქვს დიდი, შიგ გორავს ტვინი,  
რა ცუდი არის კუჭის ღიტინი...  
უნდა ვსტიროდე, მე კი ვიცინი...

## V

ქალო, ჩემ სიტყვის სულ ნუ ხარანტი,  
მოდი, გავყიდოთ ის ბრილიანტი,  
ხომ ხედავ, არ ვარ სპეციანტი,  
და არც მიჭირავს მე „ორიანტი“,  
რომ სილარიბებს გამოვდო კვანტი,  
არ გინდა გულზე წითელი ბანტი?!?  
ლოყებზე პუდრი თხლად შენაფანტი?..  
საპონი მომცა ცხვირს დავიბადნი,  
და სავარცხელით თმებს მოვიფხანდი,  
ვატყობ, ჭიუზე სულმთლად შევქანდი,  
ამ ტფილისში რომ ამოვქანდი...  
VI

ჯუ! ჯუ!.. ჯუ! ჯუ!. ჯუ!!!  
ჭი!!! ჭი!!! ჭი!! ჭიჭი!!  
კაცი ხართ, ქალი, გოგო, თუ ბიჭი!!  
ნასწავლუსწავლი, ჭივიან-რეგვენი  
ნიკო, ერთილე, შაქრო, ევგენი,  
ყველამ ტფილისში! ტფილისში ყველამ,  
ნატომ, ჯაჯიკამ და ფეფიკელამ!!  
არავინ დარჩეთ პროვინციაში,  
ტფილისში მყავხართ ყველა სიაში..  
სოფლებში არვინ არ ჩაჰელათ ნიჭი!!!  
ჯუ!.. ჯუ!.. ჯუ!.. ჯუ!! ჯუ!...  
ჭი!. ჭი!. ჭი! ჭი! ჭი!...

## შექანჯალებული.

**„უკელა ტალანტთა ქალაქი.“**

წინათ ჩემის სატახტო ქალაქისთვის ამბობდენ:

— ქალაქიო.

ეხლა მას უნდა დაერქვას:

— ყველა ტალანტთა ქალაქი.

გამოიჩნის თუ არა პროვინციაში ცოტა ნიჭის,  
ანუ ლათინურად რომ ვსთქათ-ტალანტს, რომელიმე კომისარი, მას მაშინვე თბილისი გამოუწევს  
ხელს და მშვიდობით!..

საკმარისია ცოტა ფხა გამოიჩნიოს თვითმართველობის საქმებში და მაშინვე —

— ტბილისის დურგლებს ახალი სავარძლის კეთება სჭირდებათ.

ესთქათ, პროვინციაში ვინმე კარგი მასწავლებელია, ადმინისტრატორიც ვარგა, მოძრაობს, ცოცხალ არსებას გავს... უნდა იცოდეთ, რომ სულ ცოტა ხანში ამ გვამსაც თბილისი ჩაიკრის წიაღში.

ერთის სიტყვით, ჩემი თბილისი რაღაც ზღაპრულ ქალაქად გადაიქცა; ის ნოქავს სანოაგეს: ვერ გაძლებო, პურით, სიმინდით, ლობითი, ხორცით. სულიერი, უსულო, ოთხფეხი, ორფეხი — ყველფერი მის მის მუცელში ჩადის და მანც არაფერი ეშველა, გაუმაძლარის სტომაქისაა, ყველაფერს ნოქავს, ყველაფერს ყლაპავს.

მთელი თბილისი მარტო ჭამაზე ფიქრობს, ამის მეტი არაფერი ახსოვს. ამას ყვირიან ქუჩებში, ამას გაჰკივან გაზეოთებში.

მაგრამ ჯანდაბას, ამ ამხრივ ეგება გაგვეძლო რამენაირად ამ ქალაქისთვის, მაგრამ ახლა რომ აღმიანების ყლაპვასაც მიყო ხელი, რაღაც უნდა ვქნათ!

თქვენი მტერია ჩემის სოფელს დღე დაადგეს თუ ასე გაგრძელდა „ტალანტების“ ყლაპვა: მოკითხვის წერილის წამკითხვი კაციც არ გვეყოლება სოფლად.

რომელია ისეთი მოღვაწე დღეს საქართველოს სოფლებში და დაბა-ქალაქებში, რომ თბილისისენ არ მიიწვევდეს.

ეს კიდევ არაფერი! თუ იგი ლირისია, რომ თავისი „ტალანტის“ შუქები ცენტრიდან მოჰყონოს სამშობლოს, მაშინ რა გაეწყობა, — ია და ვარდი მის გზასა და საეალს, მაგრამ ხშირად ბუტაფორიულ მოვლენებთან გვაქვს საქმე!,

იმნევი კაცი და ვერ გაგიგია თუ ვინ ან რომელი მოღვაწე რა მიზნით მუშაობს პროვინციაში:

— მართლა გულ წრფელად ემსახურება ხალხს, თუ თბილისის გასაგონათ ფართი-უურთობს.

თქვენი არ ვიცი და მე კი ძალიან დაჭვებული ვარ!

როცა გულმოდგინეთ მომუშავე მასწავლებელს ვხედავ, ქედს ვიხრი მის წინაშე და მზღვა ვარ ცამდის ავიყვანო, მაგრამ უეცრივ გამიელვებს წყეული ეჭვი:

— ვინ იცის, ეგების თბილისში უნდა გადასვლა და იმიტომ იდგამს წელებზე ფეხს თქო.

როცა ხმა მაღლა მაყვირალ კომისარის ვხედავ ეჭვი ჩამჩრებულებს:

— რათ ყვირის ეს კაცი, ხომ იმას არ ცდილობს, რომ თბილის გააგონოს თქო.

რომ იცოდეთ რა ყურმახვილია თბილისი!  
როცა რომელიმე მოღვაწე ხშირად დადის თბილისში „საზოგადო საქმეებზე“ მე ასე ვფიქრობ:


— ვაი თუ ესეც სასახლის კიბეებს ცვეთს არბენ-ჩამორბენითთქო.

დიახ, სასახლის კიბეები!

ჩემის კურთხეულ ქუთაისში პირდაპირ ასე ამბობენ:

— ეს და ეს პირი თბილისში სასახლის კიბეების საცვეთად დადისო.

## პარტიტურაში.



ზაქარია ფალიაშვილი. მშენივრად მოვეწყე ამ ჩემი ოპერის პარტიტურაში. მხოლოდ ეს ანგარიშები!..

ერთის სიტყვით პატიოსანი შრომა და მისი წარმომადგენილი მთელ საქართველოში დღეს საეჭვო პირად არის მიჩნეული: არ იცი რა ამოძრავებს მას, — მართლა ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის, თუ თბილისი აქვს მიზანში ამოღებული.

მერე თქვენა გვონიათ, რომ ასეთი რამე სათავილოდ არის მიჩნეული? თქვენც არ მომიკვ- დეთ! თბილისისკენ მისწრაფება სათაყვანოდ ითვ- ლება, ყველასაგან მოწონებულია ისე, როგორ სპეციულიაცია.

ვინც თბილისში არ მსახურობს და გადასვლას მაინც არ ფიქრობს, ის გამოუდევარი ვინმეა, დაბრაკულია, ჩათლახი დემოკრატია, უფოლადოა,

ასეთი აზრის არის თითონ თბილისი და ასე მსჯელობს პროვინციაც. თბილისს მხოლოდ ის მიაჩნია კაცად და ტალანტად, ვინც უკანა ფეხებზე უდგას ფინისასვით და თვალში უვარდება.

— თბილისისკენ მისწრაფება და „კარგი ტონი“ დღევანდელ საქართველოში სინონიმებად არის მონათლული.

ტალანტის დასასაბუთებლად ეგ უტყუარი მოწმობაა. თუ თბილისისკენ იხედები, ეგ იმას

ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის გამოსაღევარი ხარ, ნიჭის წარმომადგენ, ტალანტი ხარ.

თუ არა და... „ბრავ“.

თბილისი მთელ საქართველოს ლორნეტით გადმოყურებს და თავისი თავის მეტი არაფერი აინ-ტერესებს.

პური გაქვს? მას უნდა მისცე.

მჭადი? ისიც მას უნდა.

ლობიო? ისიც.

ტალანტი? ისიც.

ერთის სიტყვით არაფერზე უარს არ აშბობენ, ყველაფერს ნთეავს ვეშაპივით.

მოდით და ამის შემდეგ ნუ გამოუცვლით თბილისს სახელი!

არა, ბატონებო! დღეიდან თბილისის სახელი:

— ყველა ტალანტთა ქალაქი!

იჩქარეთ იქითკენ, იჩქარეთ! ამოეწერეთ და-

ბრაკულთა სიიდან!

თბილისი სტუმართ-მოყვარე!

8. მალაქიაშვილი.

## წერილი ბათომიდან.

**გათუმი.** კვირას, ნოემბრის 30, „ეშმაკის მათრახის“ გამოსვლის დღეს, გაიხსნა ბათუმში არაჩეულებრივი კონფერენცია რედაქციის ყოფილი, ეხლანდელი და მომავალი თანავრმომლებისა. კონფერენციას დაესწრო: ბლიკვაძე, ჩიბუხი, ჩიბუხის მდიგანი, აჭარელი და ორბოლიანი. დიპლომატიურ წარმომადგენელთა საცარძელში იჯდა ბ-ნი ისკანდერი. კონფერენციის თავმჯდომარეო ერთხმათ არჩეული იქნა ბ-ნი ბლიკვაძე, რომელმაც კრებას გააცნო იმ ნოტის შინაარსი, რომელიც მან მიიღო „ეშმაკის რედაქციისაგან“. კონფერენცია ფეხზე ადგომით ისმენს ნოტას და ფეხზე ადგომითვე ერთხმათ სწყვეტს: გამოცხადდეს ქ. ბათუმი ეშმაკის პროტექტორატს ქვეშ. აირჩეს დელეგაცია ბლიკვაძის თავმჯდომარეობით, რომელიც დაუყენებლივ გაემზადება სატახტო ქალაქში — თბილისში და მთახსენებს ამის შესახებ ეშმაკს.

მთელი დღის განმავლობაში ქალაქი გაჩირალდნებულია. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან ამ ისტორიული აქტის იურიდიულ ფორმაში ჩამოახმარა.

ამ ღლებში ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭოში მასთან არსებული ქალთა წრის გამგეობის მიერ შეტანილი იქნა შედეგი შინაარსის შეკითხვა: იცისი თუ არა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმმა, რომ ბათუმში არსებობს ქალთა წრის გამგეობა შეიდი წევრისგან შემდგარი, არჩეულ შვიდი ქალისგან და თუ იცის, რა ზომებია მიღებული, რათა აღიგავოს დაუყონებლივ არსებობა იმ უწრნალისა, რომელსაც სახელად უწოდეს „შვიდი მნათობი“. ეროვნული საბჭო ამ ქადაღიდიდ მზადებშია, რათა დაუყონებლივ იქნეს შეკრებილი ამის შესახებ ყოველი უტყუარი ცნობები. შემკვითხველების საპასუხოთ ეროვნულ საბჭოს აქცს სახეში გამოუშვავს გიორგი მაღალოვი.

X.

## ა ხ ა ლ ი ს ტ ი ლ ი.

აფსუს, როგორ აირია ქვეყნიერება, როგორ აჯაფსანდალივით აითქმლიფა ყველაფერი!..

ვა, ვა, ვა!... ვისაც რა უნდა იმასა შერება, ვისაც რომელი ღმერთი უნდა იმასა ლოცულობს, ვისაც ვინ მოსწონს იმასა ჰეროშტავს, ყველა თავის თავს პრავიტელსტვათ აცხადებს, ყველა თავის ფულსა სჭრის!....

ერთი სიტყვით, სად იწყება ეს დომხალი და სად თავდება კაცმა არ იცის!. ყველა, ყველა, კაცო, მაგრამ ეს კალენდარი რაღა ჯანაბათ შეცვალეს!

ამან ხომ პრამათ დავთარი დამიბნია რაღა! ქრისტიანისთვეა, იანვარია, შობა, ახალწელიწადია, აღდგომაა, ბზობაა, ნათლილებაა, მარხვაა, ხსნილია, რომ არ გამეგება!.. როდის გათენდება: სურფარქისობა, შავნაბადობა, ხოჯივანქობა, თელეთობა, სავსემ ნი პანიმაიუ! გინდ დამახრეთ, არ ვიცი რაღა!

„ჯოჯოხეთს ერთი მუჯუზალი აკლდა და ისიც შიგა ჰკრესო“. სწორეთ ეგრეა რაღა ჩვენი საქმე! თავათ აწეშილ დაწეშილი იყო ჩვენი საქმე და ამ კალანდრის არევამ ხომ სულ დააბნია დავთარი! ეს ვექსილების სროკებიო, ეს ბანკებიო, ეს სუდის ზასლანიებიო!.... ერთი სიტყვით, სულ ყირამალა გადატრიალდა ყველაფერი!

ვა, ხუმრობა ხომ არ არის ცამეტი დღით სრაზუმ წინ გადასკუპება! იცი რა რაზნიცას აკეთებს ეს ცამეტი დღე?

ეხლა რომ აღარ ვიცი რანაირი პროვერეა გაუკეთო ჩემ კეკელას! სულ დაბნეული ვარ რაღა, კაცი!

დედაკაცი ფეხშიმეთა მყვანდა, კაცს დაანგარიშებული მქონდა ტოჭი-ტოჭი, ნიმუტობით, თუ ცხრა თვეს იქით ნასლედნიკი მეყოლება მეთქი, მაგრამ სულ ამირის ანგარიში, ისე არის ეს კალენდარი! ჩემი კეკელა აგერ სამი დღეა რაც დაწვა და მშვენიერი ვაჟიც მაივო, მაგრამ რომ არ ვიცი: ჩემია, სხვისია, პრედევრემენია, დაგვიანებულია, თუ ნედანოსკა!.. ან და რას გავიგებ, ადამიანო! თვეები შიცუალა, ჩისლო შაიცუალა, ქრისტიანიშობისთვეა, იანვარია, თებერვალია, ქრისტე ღმერთმა არ იცის და მე რას წავიგებ, თავი კომბოსტოს მიმიგავს!

ვაი ჩემი ცოდოს იმას, ვინც მე ჩემი კეკელას ორსულობის ანგარიში დამიკარგა და ჩესლო მესეცის კალანდარი აურია!

გოგია.

ქ. ჭიათურა.  
1918 წ. 9 მაისი.

## წერილი ბათუმიდან.

ვინაიდან ბაგრატოვებს  
ჭაობაში ჰქონდათ კრება,  
ვიმედოვნებ, მათი ზრხვის  
გენებება თქვენ გაგება.  
წინეთ, როცა ამ ჩვენ ქალაქს  
განაგებდა საბჭო ძველი,  
ვინ შავების ბატონობას  
ჩაუყარა საძირკველი;  
როს მასლოვი ფრთებსა შლიდა  
ძმა-ბრჭების საბატონოთ,  
და დენიკინს მოუხმობდა  
ამ ქალაქის საპატრიონოთ;

და როს ფართაში შავებისას  
აღარ უჩნდა დასასრული,  
ბაგრატოვი კავშირს ფლობდა,  
პრეიერი იყო სრული.  
და მას შემდეგ დაეჩვია  
საქმეებში ხელის ფათურს,  
წყველა-კრულვას უგზავნიდა,  
აძაგებდა ყოველს ქართულს.  
წევრთა თვალის ასახვევათ  
გრძელ „რეჩებში“ თხზავდა ჭორებს,  
ხმა ისეთი ნაზი ჰქონდა  
ვით ინგლისის მოზდილ ჯორებს.  
და მადასა განუსაზღვრელს  
პატივსცემდა თვისას მარად,  
მით საქმენიც მოაგვარა  
შავრაზმელთა გასახარად:  
გაფიცვა და მითქმა-მოთქმა...  
თვითნებობა იყო სრული,  
და და ამ გვარათ მუშათ კავშირს  
დაუყინა აღსასრული.  
ამბობენ რომ შეა რაზმელთა  
გაზეთისთვის მუშათ შტატებს  
აგროვებდა და დღესაც კი  
ამ საქმისთვის დაფართატებს.  
ერთ დღეს ამ გმირს მუშათ კრებამ  
უგალობა სულთათანა,  
ზემო თქმული ყმაწვილები  
პორთფელითურთ მიაბრძანა.  
ნათელ განდა საქმე მათი,  
პოლიტიკა ქვემდრომელი,  
და კრებაზე გამოირკვა  
ახალი, თუ ცოდვა ძველი.  
და ამჟამად ისევ ისე  
არ იშლიან თურმე თვისას,  
„პროტოკოლზე“ ხელ-საწერად  
პატივიბენ ამ ჩვენ ლიზას.  
ქაობაში შეთხეს თურმე  
ის ქალალი საპროტესტო,  
გამგეობას ჩვენ ვფლობდითო  
დასუალეთო ნაშე მესტო“.  
და ამ გვარად ცოდვილ ვაჟებს  
სიხარულით უძერთ გული,  
მწუხარებათ შეეცვლებათ  
ნაადრევი სიხარული.

ხდაბაურელი.

## ბურუნას რადიო.

ვ ი თ ი.

ნავ-თსადგურის მუშების კავშირის გამგეობამ  
მუშათა სკოლა გახსნა, სადაც მუშა მოწაფეთა უმ-  
რავლესობამ დამთავრა კიდეც სკოლაში სიხარული.

ამავე კავშირის საბჭომ ნაციონალზაკია გაატარა  
ცხოვრებაში და „საეალდებულო“ ენის უცოდი-  
ნარე სეკრეტარი დოლიძე დაითხოვა. მოსალოდ-  
ნელია კიდევ ორი სამი პირის დათხოვა რომ  
„სახელმწიფო ენა“ არ შეფერხდეს.

ამავე მუშებში ჩვენი გაზეთის ტიტანი უკვე  
ცხრაზე (9) ავიდა მიუხედავათ იმისა, რომ არტელში  
რაღაც რვასი (800) მუშა მუშაობს და თვიური  
გაზეთის ფასი ბოთლ ღვინის ფასსაც უდრის.  
ქალაქის სამკითხველოში სიცივისაგან, გამგე ქალს  
გარდა, ნებ ქურქოსანი მკითხველი გაიყინა.

ადგილობრივ ესერების კომიტეტი უარს აც-  
ხადებს მანწყავის და კეკელიძის („გემ მარიას“  
გმირების) ორგანიზაციის წევრობაზე. მიზეზად  
ფოლიდან მათ გასვლას ასახელებენ: რაკი ფოლიდან  
გავიდა, ორგანიზაციიდანაც გასულად ითვლებაო.

## წარწერანი

ადვილად შესაძლებელია, რომ რესპუბლიკის  
ზოგიერთი მოქალაქენი ერთგარ შეჯიბრებას აწარ-  
მოებენ და სურთ განამტკიცონ რეკორდი უმსგავ-  
სო და გაუგებარ წარწერათა, თორემ სხვით არა-  
ფრით აიხსნება ზოგიერთ მათთავანის სიმახინჯე.

ვერ წარმომიღენია, მაგალითათ, თუ რამდენი  
ცეკვის სწავლის მოწაფე ეყოლება იმ სულდგმულს,  
რომელიც ლაქონიურად აცხადებს წარწერით  
თავის ბინაზე „ტანცის უჩიტელი“ (ნიკოლოზის  
ქუჩის ბოლო). აგრეთვე ბევრი მუშტარი არ ეყო-  
ლება პლეხანოვის პროსპექტზე, სამხედრო სასწავ-  
ლებლის პირდაპირ, მოთავსებულ სამკურნალოს,  
რომლის წინაც შემდეგი შინაარსის წარწერაა გა-  
მოჭიმული: კერძო სამკურნალო სამუდამო საწო-  
ლებით“. „ეშმაკის მათრახი,“ ეკითხება თავის  
საყვარელ მკითხველებს: რომელი იქნება მათ შო-  
რის ისეთი გამბედავი, რომ ზემოხსენებულ სააგად-  
ყოფოში შევიდეს განსაკურნავად. წინასწარვე დარ-  
წმუნებული ვართ, რომ იშვიათად მომდებნება  
მოქალაქე, რომელიც „სამუდამო“ საწოლს ეძებდეს.

„საკბილო“ სამკურნალო... ეს სამკურნალო  
მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე, კრილო-  
ვის ქუჩის კუთხეში. გამოურკვეველია თუ ვისთვის  
უფრო საკბილოა იგი, მკურნალთათვის, თუ გან-  
კურენის მსურველისათვის. ამის გამორკვევას თვით  
კბილ-მტკიცანა მოქალაქეთ ვანდობთ, რომელნიც  
იმედია თვის აზრს გაგვიზიარებენ.

ზემოხსენებულ სამკურნალოს ქვეშ მოთავსე-  
ბულ ხილის დუქანს შემდეგი წარწერა უმშვენებს  
კარებს: „პერსიაული მაღაზია“. დარწმუნებული  
ვართ, რომ „პერსიაული“ გვარი უნდა იყოს დუქანის  
პატრონისა და მიტომ ბევრს აღარას ვილაპარაკებთ.

## თევზაობა შავ ზღვაზე



დიდი გენერალი. ეს რა პატარა თევზი ამომყავა...  
პატარა ტარიელი. ერთი ამას დამიხედვეთ! ამოთრევა მიჭირს, იმოდენაა.

ხოლო არ შევვიძლიან მაინც ჩვენი სიამოვნება  
არ გამოვსთქვათ, რადგან გვარი ძალიან მოვგწონს...  
ნამეტანი მუსიკალურია!...


„ტივოლი ტიატრი“... ასეთი წარწერაა პლე-  
სანოვის პროსპექტის ბოლოში, ყოფილი გორგი-  
ჯანვის რესტორანის შენობაზედ. ვისაც სურვილი  
აქვს, თვისი თვალით ნახოს ზემოხსენებული წარ-  
წერა, ვურჩევ შორიდან წაიკითხოს და არ გაძე-  
დოს „ტიატრი“-ში შესვლა!... ამბობენ, რომ ვინც  
იქ შევა მარტო მას კი არ დასტოვებს, რაც ჯიბეში  
აქვს, არამედ თვით ჯიბეებსაც მიაყოლებს... შარვალ-  
სურთუკიანად...

## შარვალი.

მუზამ მომთხოვა\*) შარადა,  
მოკლე და მწყობრი ხმიანი.  
რა არის იგი არსება?  
აღგილი უყვარს კლდიანი!..

\*) მოთხოვნილებაც არის და მოთხოვნილებაც.  
ქუთათურმა პედაგოგებმაც თავისებური მოთხოვნილება  
წამოაყენეს. თუ მაწანწრელის მუზას ეს ღეჭვი შარადა  
ეგონა, უმჯობესი იქნებოდა მისი მოთხოვნილება და-  
უქმაყოფილებელი დერჩენილიყო. დაე გაფიცულიყო,  
რედ.

## ბ უ ქ ა რ ა .



8

ამერიკელი. ჩვენ მივდივართ!  
სხვები. ჩვენც მივდივართ!..

უყვარს მას თავი უფლება,  
ვით მოძლგარს ქადა რძიანი...  
თუმც იმას არ ჰყავს ბატონი  
არც თავათ არის ყმიანი,  
უხევი ბუნების წყალობით  
სკეოვრობს თვით თავაზიანი!  
კაცი კი მისი მტერია  
მან კაცს არ მისცის ზიანი.  
იარაღი კი ზედა აქვს  
ულესია და ფხიანი!  
ბუნებას უბოძებია  
არ არის ხარისხიანი!  
თუ მებრძოლს დასძლევს არც მოჰკლავს,

არც არის ლალატიანი!..  
ვინც ამ შარადას ამისხნის  
იგი იქნება ჭკვიანი!  
ახსნა შემდეგ  
ა. მარჯანწრელი.

## ბ ა ნ გ ე ტ ი .

ვერავინ იტყვის, რომ საქართველოში ბან კეტი  
იშვიათი მოვლენა იყოს. არ მეგულება მგზავრი,  
რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის რკინის გზით აევ-  
ლოს, ან ჩავლოს, რომ მისთვის ჩვენ ბანკეტი არ  
გაგვემართოს.

მაგრამ მე არასოდეს არ მახსოვს ბანკეტი ჩემ პატივსაცემლად გამართული. ეს არა თუ იშვიათი, პირდაპირ პირველი შემთხვევაა. ამ პირველ ბედნიერ შემთხვევას ადგილი ჰქონდა სახალხო გვარდის არტილერიის საკრებულოში გვარდის ორი წლის დღესასწაულის რამდენიმე დღით წინ.

საზოგადოთ ჩვეულებათ მაქვს ბანკეტებსა და კარგ საღილებზე პრანქვა-პატიუი არ დავიწყო და ჩემი თანხმობით გავაძენიერო მასპინძლები. ეს საჭიროა ყველამ იცოდეს.

გვარდის არტილერისტთა მიერ ჩემ პატივსაცემად გამართული ბანკეტი ერთობ მხიარული და სასიამოვნო გამოდგა. თავის ქებაში ნუ ჩამომართ-მევთ და არ შემიძლია მოკლეთ არ აგიშეროთ ეს შშვენიერი სალაშო. თვით ამ სალამზე განაცხადა ჩვენმა ძვირფასმა თამადამ, სოსო გედევანიშვილმა, რომ ეშმაქს აქ ლაპარაკი არ შეუძლია, მაგრამ იმედია ის წერის დროს თავისას არ დაკლებსო. სრული ჭეშმარიტებაა. არ ვიცი რა მიზეზია, მაგრამ ლაპარაკის დროს მუდამ მავიწყდება, რომ კარგი სიტყვისათვის თან და თან აღელვება, სიტყვის შუაგულში პირდაპირ გადარევა და დასასრულ დამშვიდება საჭირო. რამდენჯერ არ ვცადე კარგი სიტყვის წარმოთქმა და არ იქნა ვერ ავღელდი. გვარდიელებზედაც ვილაბარაკე, ჯარისკაცზედაც, ჩვენს მთავრობაზედაც, სოლიდარობაზედაც, ნოე ჟორდანიაზედაც, წარმოიდგინეთ თვით პროლეტარიაზედაც, მაგრამ აღელვება ვერა შემთხვევაში ვერ მოვახერხე და გადავსწყვიტე სრულიად დავანებო საჯარო ლაპარაკს თავი.

მაშ ეგრე. ჩემ პატივსაცემად გამართულმა ბანკეტმა თამადათ ერთხმად იირჩია სოსო გედევანიშვილი. ომში ხშირად გამომიცდია ჩვენი საყარელი გენერალი, მაგრამ თუ თამადობაშიაც ასეთი იყო, ეს კი აღარ მეგონა.

პირველი სიტყვა მან ჩვენი ძვირფასი არტილერიის სადღეგრძელოდ წარმოსთქმა. მან შეადარა შარშანდელი გვარდის არტილერია აწინდელს და განაცხადა, რომ მათ შორის მხოლოდ სახელწოდებაა საერთო, თორემ შარშანდელი ჩვენი გვარდის არტილერია აწინდელის კარიატურათ შეიძლება ჩაითვალოსო. ორატორმა აგრეთვე აღნიშნა უზიდესი სარგებლობა არტილერიისა საზოგადოთ. მე რასაკვირველია დიდ არტილერისტთა არასოდეს არ მოქმნდა თავი, მაგრამ ზოგიერთი რამ ამ სარგებლობისა მეც გამეგება და თუ მაშინ არ ვთქვი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ლაპარაკის დროს აღელვებას ვერ მოვახერხებდი. მართლაც როგორ გინდა აღელდე ისეთ შშვენიერ ქეთის დროს და ასეთ ჩვეულებრივ ლაპარაკში. მე მაგალითად ვიცი რომ არტილერია სასარგებლოა აგრეთვე იმითაც, რომ თავ გადანახეთქი ყუმბარა კალმისტარებისა და კარანდაშების ჩასწყობ ჭურჭლათაც ვარგა. ამავე მიზნისთვის და სხვა რამებზედაც გამოსადეგია

ყუმბარის ბუდე, რომელიც ზარბაზნის ლულაშივე რჩება ყუმბარის გასროლის შემდეგ. ათასნაირ ნივთებს აკეთებენ ამ ნაშთებისაგან და ეს ჩვენს წარმოებას ასაკვირველია ხელს უწყობს. ახლა მოდიდა ისე სთქვი ეს უბრალო სარგებლობა არტილერიისა, თითქო დიდი აღმაშტოთებელი რამ შეგმოვეოდეს. არ შემიძლია და რა ვქნა.

შემდეგი სიტყვა თამადამ იმ დემოკრატიის სადღეგრძელოდ წარმოსთქმა, რომელმაც წარმოშვა ჩვენი სახალხო გვარდია. მართლაც უმაღლურობა იქნებოდა აქ ორიოდ სიტყვა მეც არ მეთქვა და ერთი ჭიქა ღვინო არ დამელია, მაგრამ ვინაიდან სიტყვის თქმას ის ოხერი აღელვება სჭირია, მე მხოლოდ დამშვიდებით ერთი ჭიქა ღვინის დალევა ვამჯობინე. ჩვენი დემოკრატიის სიმწიფე იმდენათ არა საეჭვო და უდავო საქმეა, რომ თამადას თითქმის არავინ არ გამოკამათებია და შეხლა-შემოხლას ადგილი არა ჰქონია.

— მე კვალად ზევით-ზევით მივფრინავ — განაცხადა თამადამ და წარმოსთქმა სადღეგრძელო იმ ჭელშძლვნებისა, რომელიც წარმოშვა ჩვენმა დეკოკრატიამ და რომელშიაც გამოხატულია მთელი გისი სიძლიერე, სიმწიფე და სიღარბაისლე — ნოე ქორდანიას სადღეგრძელო.

ნება მიბოძეთ აქ ერთი პატარა ამბავი მოგახსენოთ: ერთ შტატის მღვდელს, თურმე მეორე უშტატო მღვდელი ემტერებოდა, დაათრობდა და შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოზთან უჩივლებდა: ლოთია, გადააყენე აღგილიდანო. (წინეთ მღვდლებისთვის ლოთობა დანაშაულათ ითვლებოდა). ერთხილ სწორეთ ასეთ სიმთვრალის დროს მოასწრო მტერმა და უჩივლა. ეფისკოპოზმა მყივე მოაცანინა თავისთან შემხიარულებული მოძღვარი.

— ეს რა დაგმართია, შე ცოდვილო, რომ სულ ლოთობ და ღმერთი აღარ გახსოვსო, მიმართა მღვდელმთავარმა.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, მომაღვებიან უზარვაზარი ყანწით და მაფიცებენ: ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სადღეგრძელო რომ არ დალიო, გაიგებს და შემოგწყვებებაო. რა ვქნა, ცოდვილი ვარ, მეხათრება თქვენი და უარს ვერ ვეუბნებიო.

მე რომ ნოე ჟორდანიას სადღეგრძელოს გაფიგონებ, ხელი ინსტიქტიურათ მიიწევს ჭიქისკენ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემ მოქალაქეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია ნოეს სადღეგრძელო უთუოდ სავსე ჭიქით დავლიო. ალექსანდრე დგებუაძემ არა თუ სავსე ჭიქა დალია, ისიც კი მოახერხა რომ მისთვის ჯარიმა დაელევინებინათ.

დამფუძნებული კრების დღეგრძელობის დროს საზოგადოებას დიდი მღვდელვარება დაეტყო. თამადის საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი სახელმწანი არტილერიისტი, მიშა არსენიძე. მე სხვებზე ნაკლებ არ ვაფასებ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობას, მაგრამ აქაც მხოლოდ ღვინის მიღებით

მოვხატე ჩემი მისდამი ღრმა პატივისცემა და ჩემი წეილილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის აღმშენობითი საქმეში ამით შევიტანე.

სულ სხვა ტაქტიკას დაადგა ჩენი სახელოვანი კავალერისტი მუხრან იდიშელი. მან ვრცლათ მოიყვანა ფსალმუნიდან აკაკი წერეთლის სიტყვები ჩონგურისა და სიმების შესახებ, რომლიდანაც ორატორის აზრით ნათლად სჩანს ქართული ერის ინტერნაციონალის არბა. ბატარეის უფროსმა, სოსო ირემაშვილმა, აღნიშნა მეორე ლექსი აკაკი წერეთლისა, სადაც ნათქვამია: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩენ ვართ ყველაო, ერთი მათვანი რომ გასწყდეს მაშინვე უნდა შველაო.“

და დასძინა, რომ ქართველი ტომები შეხმატებილებულნი უნდა იკაფავდენ ცხოვრების გზას. ამ საკითხმაც დიდი აღლვება და კამათი გამოიწვია.

ვინაიდან ბანკეტი გაერთიანდა, ხარჯის შესამცირებლათ საჭირო შეიქნა თამადის თანაშემწეოთა თანამდებობების გაუქმება.

— ერთ მთავარ თამადას შეუძლია სუფრის ხელმძღვანელობის გაწევა და საჭიროთ აღარ მიგვაჩნია თანაშემწეოთა არსებობათ, განაცხადა ერთმაორატორთავანშა.

— ამხანაგებო! დაიწყო ალექსანდრე დგებუაძემ, მე ამ წინადაღების წინააღმდეგ ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ: ჩენ ვიცით რომ არსებობენ დიდი, იმპერიალისტური, და პატარა სახელმწიფოები. დიდებს ყოველთვის უნდათ პატარების დაახავრა. ჩენ კი გვსურს პატარა სახელმწიფოთა დღეგრძელობა. მე მოვითხოვ დარჩენ თამადის თანაშემწენიც.

ამ განცხადებამ დიდი ტაში და სიხარული გამოიწვია. მე, საკითხი ერთ-უფლებიანობის შესახებ, წაგებულათ ჩავთვალე, მაგრამ თამადის მოსაზრებულმა პასუხმა კითხვა კვლავ შემოაბრუნა.

— უნდა მოგახსენოთ პატივცემულ ალექსანდრეს, დაიწყო თამადამ, რომ გვარდია ჩენელია ანარქიის ჩაქრობას და აქ მემბოხენი ფონს ვერგავლენ. ამით უკვე დამყარდა ერთ თამადობა სუფრაზე.

ჩენი თამადა თავისი სადღეგრძელოების დროს მართლაც მეტოდიურის თანდა-თანობით მიჰტრინავდა სულ ზევით-ზევით და გახურებული მოლხენის ზენიტში. ჯერი ჩემზედაც მოდგა. ჩემი დღეგრძელების დროს თამადამ ვრცლად აღნიშნა მოელი ჩემი სამხედრო დამსახურება რესპუბლიკისა და გვარდიის წინაშე. მან სხვათა შორის მოიგონა ის სანეტარო წამი, როცა დარიალის ვიწრო ხეობაში ჩენ ორნი ერთ ქვირის დაბალ კედელს ვამაგრებდით. მე მგონია ეს ასე იყო. ყოველ შემთხვევაში შეიძლება კედელი თითონ გვამაგრებდა ჩენ. საქმე იმაშია, რომ აქ ძნელი გასანაწილებელია როლები.

დღეს, როცა ჩენ მხოლოდ ვიგონებთ შორეულს ჩენის სამხედრო გამოსვლებს რა თქმა უნდა ადვილათ გაერკვევი საქმეში, მაგრამ მაშინ, როდესაც კედლის ძირის იმის ცეცხლში ვიყავ გახვეული უნებლიერ ვფიქრობდი:

— აი სად ჩამომითრია ამ სოსო გედვეანი-შეიმო! რასაკვირველია, ის აქ თავის საქმეებს აკეთებს, მე კი მღუბას. მე ვიცი რომ ის მუდამ გენერლათ არ დარჩება. დრო მოვა, ისევე დრამატურგობას დაუბრუნდება და ეს ამბავი მისთვის მშვენიერი თება იქნება. მე კი, იუმორისტი და ჯანაბარა რა ეშმაქმა ჩამომითრია აქ. მართლია სამხედრო მოქმედებაშიაც არის იუმორისტული ნაწილი, მაგრამ საფუძველი მისი მაინც დრამა და დრამა ხომ სოსო გედვეანი-შეიმოს საქმეა.

ყველაფერს ამას და ათასჯერ მეტს მე მშვენი-ვრად ვიტყოდი ამ ბანკეტზე, რომ ლაპარაკის დროს აღლვება და ყვირილი საჭირო არ იყოს.

ჩემი სადღეგრძელო მშვენილობინათ დათავდა. ამის შემდეგ თამადა ისევ დაბლა-დაბლა დაეშვა. აღლეგრძელო პატარა გვარდიელი; ის პატარა გვარ-აღლეგრძელო ისე მტკიცეთ იღგა ბზიბის ნა-პირზე, რომელსაც წინ ედგა შავი კედელი დენიკინისა, რომელმაც გაარღვია ის შავი კედელი და მოუბოვა გამარჯვება საბჭობლოს.

ლასა მგელაძემ ასწერა ის მშვენიერი ლამე 1917 წლის დეკემბრისა, როცა ამომავალმა შზემ წითლად შეეღება მთისა წვერები, შესძრა ყოველი სულდგმულნი, ააჭიკეთა ფრინვლები, როცა სახალხო გვარდიის პირველი რაზმი მიღიოდა არსენალის ასაღებათ.

ერთი სიტყვით ყველა ორატორის მლელვარე სიტყვაში იხატებოდა პატარა გვარდიელის სიკარგე და გამახსენდა დიდებული სოლომონის ეთერვანი აფორიზმი: „რაც კარგია კარგიაო.“ მართლაც რომ ასეა.

სასიამოვნო ბანკეტი თან და თან გამხიარულდა. ჯერი მიდგა ყანწევე და საქართველოზე, თქვენითონ გასინჯეთ შემებლი თუ არა მე საქართველოს სადღეგრძელოზე უარი მეთქვა. არც ვთქვი.

ამის შემდეგ დიდი ამბები იყო, მაგრამ მე აღარაღერი მახსოვეს.

## ტაქტიკური მოსაზრებით.

შარეი ერთ მოქმედებათ.

(ახლო წარსულიდან).

მოქმედნი პირი:

- 1) ლევან დიდაძე — ვაჭარი.
- 2) ელენე — ამისი ცოლი.
- 3) ლადო — ელენეს საყვარელი.
- 4) უბას ქომისარი.
- 5) მწერალი, 6) მილიკიონერი.


მოზრდილი ოთახი.

I.


(კომისარი საწერ მაგრადას უზის და ქალალდებს ათვალიერებს... შემოდის ელენე).

ელენე. უკაცრავათ.. კომისარი თქვენა ბრძანდებით?

## ბინების მაძიებელნი.



პოტე ფოცხვერაშვილი. სადაც არ ჩავიხედე ქველგან სივიწროვე და უადგილობაა.



ამობრუშინდა მწე „ეჭვაკის მათრახისა“ და განიბნენ ყოველნი კათაკმეველნი.

კომის. დიახ. დაბრძნდით.

ელენე. (არ ჯდება. ერთბაშით) ბ. კომისარო, ჩემი ქმარი დაატყვევეთ! ეხლავე უბრძანეთ მილიციონერებს!... ამას მოითხოვ ხალხის კეთილდღეობა, რევოლუციის ინტერესები! (ლელავს).

კომის. ?!

ელენე. თქვენ გაკვირვებული ხართ!. წარმოიდგინეთ, ბ. კომისარო, რა ჩაიდნა იმ ჩეაქციონერმა, იმ კონსერვატორმა, იმ კინტრ-რევოლუციონერმა! — ამ სალამოს დუქნიდან ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაბრუნდა სახლში და მე და ჩემს მეგობარს, — ლადოს, ერთათ მოგვაწრო. თქვენ, აღბათ, თუ პირადათ არა, შორე ახლო მაინც, იცნობთ ჩემს ქმარს. ლევან დიდაქ, ბარბალეს ქუჩაზე რომ თევზის დიდი მაღაზია აქვს.. სწორეთ იმ დროს შემოაღო კარები იმ უზრდელმა, როცა ჩვენ ერთმანეთს თავდავიწყებით ვკვიციდით!. ლადო არ არის, ბ. კომისარო დამაშავე. ჩემი ქმარი ყოველთვის ცხრა საათზე მოდიოდა სახლში, ამ საღამოსკი სრულიად მოულოდნელად ექვსზე მოვიდა,—ასე რომ ლადომ წასვლა ვეღარ მოასწრო და... ღმერთო ჩემო (გააქრეოლებს)!.. რა ქნა, რა ქნა იმ ურჯულომ!! სწვდა ლადოს, ამოიდო ქვეშ და ისე მაგრათ სცემა, ისე მაგრათ იმ უმოწყალომ, რომ სულ ხდისავით აბლავლა! ცემით რომ გული იჯერა, მეორე ოთახში გავარდა და ბაწარი გამოიტანა. უნდოდა—შეეკრა, მაგრამ ლადო იქ აღარ დაუხვდა: მანმ ის ბაწარს გამოიტანდა, ლადომ დრო იხელთა და გიოქცა. კინაღამ გადაირია ის შეჩვენებული. „სად წამინდება!! მი. წილან ამოგილებო!“ დაიღრიალა მხეცივი და უკან გამოუდგა... შეიძლება დაეწია კიდეც.. ბ. კომისარო, და ჩეარებით მიიღეთ ზომები!..

კომის. ჩემის აზრით, თქვენი ქმრის მოქმედება სავსებით ბუნებრივია, და მე მასში ისეთს ვერაფერს ვხედავ, რომ..

ელენე. (გააჭყვეტინებს) როგორ თუ ვერ ხედავთ?!

კომის. აბა რა არის თქვენი ქმრის მოქმედებაში რეაქციონურ-კონტრ-რევოლუციონური?

ელენე. თქვენ, ბ. კომისარო, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩემი ქმარი ვაჭარია.

კომის. ვაჭრობა და კინტრ-რევოლუციონერობა ერთი და იგივე არ არის, ქალ-ბატონო.

ელენე. ჩემი ქმარი მშრომელი ხალხის მტერია! მან ამ საღამოს მაღაზია ნ საათზე დაკეტა და მით მოელი ამ უბნის დემოკრატია უხერხელ მდგომარეობაში ჩაგდო. მოგეხსენებათ რომ ქალაქის მცხოვრებთა ულარიბესი ნაწილი—დემოკრატია, უმთავრესათ, საღამობით მოულობს სურათ-სანოვაგისა და სხვა საჭირო ნივთების საყიდლათ თავისუფალ დროს. აშეარა ისიც, რომ დემოკრატიის ყოველ-დღიურ სარჩის, უმთავრესათ, თევზეულობა შეადგენს.. ჩემი ქმარმა განზრახ გაიღაშერა დემოკრატიის წინააღმდეგ; მე ამას საბუთებით დავიძტკიცებ! ჩემი ქმარი კონტრ-რევოლუციონერია!..

კომის. (ლიმილით) ქალ-ბატონო, აქ უბრალო გაუგებრობას აქვს ადგილი. ამ საღამოს უკველი სავაჭროები ნ საათზე დაიკეტა. ასეთია ქალაქის თვითმართველობის დადგენილება. ეს დადგენილება დღეიდან შედის ძალაში. ვინც ამ დადგენილებას დაარღებს, სასტიკათ დაისჯება.

(3 აუგ ა).

ელენე. უზრდელობაც ქალაქის თვითმართველობამ ასწავლა ჩემს ქმარს?

კომის. მე ეგ არ მითქვამს.

ელენე. მინისტრისას რომ მივიღეს, სახლში ისე

შევა, რომ კარებზე არ დაკაუნებს!. (კომისარს გაეცინება).. თქვენ იცინით, ბ. კომისარო, და მე ყელში სისხლი მაწვება! ამ საღამოს რომ დაეკაუნებია, მარტი ის რაოდიდა?—ლადოს უკანა კარებიდან გავაპარებდი და ამ საშინელ ხალფორთს გადაშრებოდი!

კომის. დაგუშვათ, რომ თქვენი ქმარი მართლაუზრდელია,—მერე რა? თქვენი დანაშაული ამით ოდნავაც არ მცირდება.

ელენე. ჩემი დანაშაული?!?

კომის. დიახ, თქვენი.

ელენე. ნეტავი რაში ხედავთ ჩემს დანაშაულს?

კომის. ქმრისაღმი ლალატში.

ელენე. სოციალისტისაგან მესმის ეგ სიტყვები?!

კომის. ვფიქრობ.

ელენე. თქვენ ძალიან კარგათ იცით, ბ. კომისარო, და, თუ არ იცით, უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის დიდმარევოლუციამ, სხვათა შორის, სქესობრივ საკითხშიაც მოგვანიჭა სრული თავისუფლება. ეხლა ყველა ჩვენგანს უფლება აქვს ის შეიყვაროს, ვინც მოეწონება. არავის უფლება არა აქვს სხვის გრძნობას წინ აღუდგეს. ვინც ამას ჩაიდგნის, ის კინტრ-რევოლუციონერია!

კომის. თქვენ ერთობ მარტივი წარმოდგენა გქნიათ სქესობრივ თავისუფლებაზე... საინტერესოა ვიცოდეთ: რატომ ამდენან არ გაეყარეთ ქმარს და არ გაჰყვით იმ თქვენს სასურველს?

ელენე. ლადო ლარიბია, და თავს ვერ ვირჩენდით. ის კი არა და სახარჯო ფულს პირიქით მე ვაძლევდი მისი ჭირიმეს...

კომის. ქმრის ჯიბიდან, რასაკვირველია.

ელენე. უკაცრავათ, ჩემი და ჩემი ქმრის ჯიბე ჯერ არავის გაურიგებია!

კომის. სულ ეს არის თქვენი ქმრის დანაშაული?

ელენე. ლმერთო ჩემო!.. რათ ვერ გაიგეთ, რომ ის მე მომკლავს?

კომის. მოკრიდეთ.

ელენე. როგორ?

კომის. როგორც მოახერხოთ.

ელენე. ეს არის თქვენი კანონი? ასე იცავთ ადამიანს ძეველი რეჟიმის მომხრე მხეცისაგან? ამას ჰქვიან თავისუფლება? ამიტომ გაგვიხარდა ქვეყნის გადაბრუნება? არა, ბ. კომისარო, მე... (მოისმის ხმაურობა. ლევანის ხმა: შედი, შედი შენ, აფაზაკო! კომისარი წამოდგება).

ელენე. (შეშინებული) ჩემი ქმარი.. დაუჭერია!. მოჰყავს!. (აქეთ-იქით ეცემა, მაგრამ დამალება უზერ იხელებს. ბოლოს კომისარს ამოეფარება და მუდარით ეტყვის: დამეფარეთ, არა სთვათ, რომ აქა გარ, თარებე დაგილუბები! ამ დროს კარები გაიღება, და გამოჩნდება ცხვირ-პირ დალილავებული და ხელებ შეკრული ლადო, რომელსაც საყელოში ლევანი ჩაფრენია და პანლურის ცემით შიგ შემოჰყავს.)

2.

ლევ. (ლადოს მიიყვანს და ტახტზე დააჯახებს) დაეგდე! (ცხვირ-სახოცით ოფლოს იწმენდს) უფ!.. ბ. კომისარო, იმედია-ამ ვაჟბატონს ლირსეულათ გაუმასპინდლობით

კომის. სხვა რაღა ვუყოთ, ჩემო ძმაო? სიკვდილის მეტი აღარაფერი მიგირებით და...

ლევ. (გააჭყვეტინებს) მაგისთანა მხეცი სწორეთ სიკვდილით უნდა დაისაჯოს!

კომის. თქვენ, აღბათ, დაგვიწყებიათ, რომ ახალმა მთავრობამ სიკვდილით დასჯა გააუქმა.

**ლევ.** არც მაგისთვის შეგაწუხებთ. მე თითონ..: (ლადოსთან მიღის და კარებისაკენ უჩენებს) გეთ!

**ქოშის.** (კომისარს) არ გაატანოთ!.. მოჰკლავს!

**ქოშის.** (ლევანს) მოითმინეთ!. (უნდა მივიდეს).

**ლევნე.** (ფრენჩში ჩატრინდება და არ უშვებს) და-  
მინახავს!. მოჰკლავს!.

**ქოშის.** (თავისთვის) აი მდგომარეობა!.. (ლევანს,  
რომელიც ლადოს ქორსავით დასკერის და შზათ არის  
თავზე რისხვათ დაეცეს) გაგვაგებინეთ, კაცო, —რაშია  
საშე?

**ლევ.** (ლადოს თავს დაანებებს) ცოლმა მიღალატა,  
ბ. კომისარო, ცოლმა!. აი ამ ლაშირაკში გამცვალა!

**ქოშის.** დანამდვილებით იცით ეს?

**ლევ.** შევესწარი, ბ. კომისარო,—აი ამ თვალებით  
დავინახე ჩემი სიკეთე!

**ქოშის.** თუ ასება, აიღეთ და მოიცილეთ თავიდან...  
გაუშვით.

**ლევ.** რაო!! ცოლი გავუშვა?!

**ქოშის.** გყავდეთ, ბატონო, გყავდეთ!

**ლევ.** რა ჯანდაბათ მინდა?

**ქოშის.** აღარ ვიცი, ღმერთმანი,—რა გირჩიოთ!

**ლევ.** ოქვენი რჩევა ჩემთვის საჭირო არ არის.  
ოქვენ ამ ავაზაქს გაუჩინეთ შესაფარი ბინა. ჩემს ცოლს  
მე თითონ გაუსწორდები. ტყვია შიგ შუა-გულ შუბლში,  
(ელენეს ტანში ურუანტელი დაუვლის) აი ჩემი ცოლის  
ჯილდო! მაშინვე უნდა გამეციებია, მაგრამ რაღაი!.  
ვეღარ მოვიცალე მისთვის; მაგრამ სულ ერთია,—აწეც  
მოუთავებ ხელს.

**ქოშის.** ოქვენ, ალბათ გათვალისწინებული გექნე-  
ბათ იმ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, რომელიც  
ოქვენ, ეჭვს გარეშეა, დაგატყდებათ თავზე, თუ მართლა  
ასეთი დანაშაული ჩაიდინეთ.

**ლევ.** არაფერიც არა მაქვს გათვალისწინებული.  
არც რაიმე პასუხს ვაგებ. ჩემს ცოლს მე მოჰკლავ,—ვას  
რა უნდა? მადლობა ღმერთს, ძველი დრო აღარ არის  
ეხლა!

**ლადო.** მეტის მოთმენა აღარ შემიძლია!. (წამოდ-  
გება) ბ. კომისარო, ევ რა არის (შეკრულ ხელებს უჩე-  
ნებს)?!. ნიკოლოზის საკატორო ციხეში ვზივარ, თუ  
რა მაბავია ჩემს თავზე?!

**ლევ.** (ირომიულათ) არ მოვწონს?

**ლადო.** მე თქვენ გექითხებით, ბ. კომისარო!

**ლევ.** (გულ-მოსული) მე კიდევ შენ გეუბნები: დაეგდე  
მაქ, თორეში..

**ლევნე.** (თავისთვის) უსინდისო!

**ქოშის.** (ლევანს) დამშვიდდით! (ლადოს) იცით, მე-  
გობარო, რას გეტვით?..

**ლადო.** (გააწყვეტინებს) რაც უნდა მითხრათ, ერთი  
რამ მაინც აშეარაა: ოქვენ, როგორც დემოკრატიული  
მთავრობის მოხელე...

**ქოშის.** (მედიდურათ შენიშვნას) მე კომისარი ვარ  
და არა მოხელე.

**ლადო.** ოქვენ, როგორც დემოკრატიული მთავრო-  
ბის კომისარი, ვალდებული ხართ—სასტიკათ დაიცვათ  
პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპი!

**ლევნე.** (თავისთვის) მართალია.

**ლადო.** განა ძველი რეემია, რომ...

**ლევ.** (შეუყვირებს) ხმა გაქმინდე!!

**ლადო.** ოქვენს უბანში უსაშინელესი ბოროტ-მოქ-  
მედება მოხდა! ოქვენ კი...

**ლევ.** ხმა მეთქი!

**ლადო.** ვიღაც ხეპრე, მხეცი!..

**ლევ.** ხმა!. (მიირბენს და ცხვირში ამოჰკრავს).  
ქოშის. მოითმინეთ!

**ლადო.** (კომისარს) დამიცავით ამ ბარბაროსისაგან!

**ლევ.** დაგახრჩობ! (ეცემა, იატაკზე დაანარცხებს და  
ყელში ხელს წიუკირებს) დაგახრჩობ!

**ქოშის.** რას სჩადიხართ?? (მივარდება და ხელს სტა-  
ცებს) თავი დაანებეთ!. ხელი!..

**ლევ.** მოვკლავ მაგ ბინძურს!. დაგახრჩობ!..

(ელენე პირველათ შიშისაგან ცახცას და-  
წყებს, მაგრამ მალე რაღაც აზრი გაუჩრდენს თავში  
და იმედის სხივით სახე გაბრწყინვებული გარეთ  
გაიპარება).

3.

**ქოშის.** ხელი მეთქი!. (ხმაურობაზე მეორე თოახი-  
დან გამოვლენ მწერალი და მილიციონერი).

4.

**ქოშის.** დაიჭირეთ ეგ გადარეული!! (მიეშველებიან,  
ლევანს კუთხეში მიიყვანებენ და გააჩერებენ.. ლადოც  
წამოდგება).

**ლევ.** გიამა?

**ქოშის.** ჩუმათ!!

**ლადო.** (მუქარით) ვნახოთ...

**ქოშის.** (ლადოს) ოქვენც მოუკელით ცოტა ენას!.  
(მიღის და ხელებს უხსნის).

**ლადო.** მე ასე აღვილათ არ გადაეყლაპავ ამ შეუ-  
რაცყოფას! (ჯდება).

შერალი, რაშია, კაცო, საქვე?

**ქოშის.** ეშმაქმა წაოროს ამათი თავი! (თავის აღვილ-  
ზე ჯდება) მხეცებია სწორეთ!

შერალი. (დაბალი ხმით) რა, ხალხია, რა უნდათ?

**ქოშის.** მერე გიამბობ ყველაფერს. (მწერალი გადის).

5.

**ქოშის.** (მილიციონერს) შენ შორს არსად წახვიდე!  
მილიციონერი. არა, ბატონო. (გადის).

6.

**ქოშის.** მე თქვენ გიჩენებთ სეირს!.. (კარები ვაი-  
ღება, და შემოდის ელენე. შისი გამოჩენა საერთო გაკვი-  
რებასა და განცვილებას იწვევს).

7.

**ელენე.** მაპატიეთ.. კომისარი ოქვენა ხირთ?

**ქოშის.** ?!!

**ელენე.** (მიუახლოვდება და ჩაულაპარაკებს) აბა  
თქვენ იცით...

**ქოშის.** რა ვნებავთ?

**ელენე.** ეს ჩემი ქმარია, ბ. კომისარო. მაგი არა-  
ფერში არ არის დამაშვევე. მართალია, ის ქუჩაში და-  
ჭირეს, როგორც წესიერების დამრღვევი, მაგრამ...

**ლევ.** (დაუკვირებს) რას ბოდავ, დედაკაცო?!

**ქოშის.** (ლევანს) მოითმინეთ! (ელენეს) ოქვენი ქმა-  
რი ჩემი არ დაგიტყვევებია. მან თითონ მოიყვანა აქ აი  
ის კაცი და განცხადა: ჩემს ცოლთან შევესწარი და და-  
გიჭირეო. ოქვენ ის ბრალს გდებსთ ლალატში.

**ელენე.** ვანა?! ჩემი ქმარი?!?

**ქოშის.** დიახ, ოქვენი ქმარი.

**ელენე.** ლევან, კომისარი მართალს ლაბარაკობს.?

**ლევ.** დედაკაცო, მობრუნდა და სახლში წადი!. აქ  
ნუ დამაქცევინდ შენს სისხლს!

**ელენე.** მაშ, მართალს ამბობს კომისარი?!

**ლევ.** ქალო სახლში წადი მეთქი!

**კომის.** ქალბატონო, თქვენ ქმარს თქვენთან უნახავს ეს ახალგაზრდა; თქვენ, თურმე, ერთმანეთს კოცნიდით. ეს არ არის მართალი?

**ელენე.** (მტკიცეთ) მართალია.

**კომის.** გაშ რალათ ამბობთ—ლალატი არ ჩამიდენია.

**ელენე.** არ ჩამიდენია და მიტომ! პირიქით,—მე ამით დავიცავი ჩემი ქმრის ნამუსი და პატიოსნება! ჯერ კარგათ ვამგეთ საქმის ვითარება და მერე სოქვით—მართლა მიმიძლვის რაიმე დანაშაული, თუ არა? სახლში მე მარტო ვიყავი, როცა ოთახში ეს მხეცი შემომივარდა და ნამუსის ახდა მომინდომა...

**ლადო.** რას ამბობს!!!.

**ელენე.** თვალებს ამოგოთხი!.. (მივარდება და თავში ჩატკრავს, თან ჩაულაპარაკებს: სხვა გადა არ არის.. შათ იყავ გასაქცევათ), ბინძურო, გადათრეულო!. (კომისარს) მე არ დავნებდი, მაგრამ განა დიდხანს შემეძლო წინააღმდეგობის გაწევა სუსტ ქალს ამოდენა ვაჟკაცი-სათვის? მდგომარეობა ასეთი იყო: ან უნდა დავნებებოდი, ან ისეთი რამ ხერხი მებმარა, რაც შედარებით პარარა შესვერპლის გაღებით თავიდან ამაშორებდა სამუდამო შერცხვენასა და სახელის გატეხას... ძალით რომ ვერას გავხდი, ისევ ალერის დავუწყევ მაგ შეჩვენებულს.. მე ვიცოდი, რომ ამ სალამოს დუქნები აღრე დაიკეტებოდა, და—საკა იყო—ჩემი ქმარიც მოვიდოდა. ის, რაც მე ჩაგიდინე, ბ. კომისარო, შექმნილ მდგომარეობით იყო გამოწყველო, და ჩაგიდინე მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით. პრინციპიალურათ, რასაქირველია, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი—და ეხლაც წინააღმდეგი ვარ—ასეთი საქმის... თითო კოცნა თითო წლის სიკოცხლეს მაკლებდა, მაგრამ აბა რა უნდა მექნა, როცა სხვა საშუალება არ იყო! კარებზე ორი ბორტება მომადგა, და მე მათგან უმცირესი ავირჩიე. ნაბალადევი ალერისით მე ის შევიქციე, ღრო გავიყვანე;— ამასობაში ქმარმაც მომისწრო, და ოჯახი შერცხვენასა და საქვეყნოთ თავის მოჭრას გადარჩა. და თუ მე ამას ლალატათ მითვლიან, ჩემი სიკოცხლე მაინც არ ლირებულა... ჩემის ხელით მოვიკლავ თავს!

**კომის.** რას იტყვით, ბ. ლევან?

**ლევ.** (არაფერს არ ამბობს).

**ელენე.** მაგას არ სჯერა ჩემი სიმართლე!.. მომეცით!. (ხელს წაიღებს კომისარის მაგიდაზე მდებარე რევოლვერისაკენ).

**კომის.** რას შვრებით!. (მსწრაფლ ააკლის და ჯიში იდებს).

**ელენე.** თავს დავიწვავ!. (ასანთს სტაცებს ხელს).

**ლევ.** ქალო! (მივარდება და ხელში ეცემა).

**ელენე.** თავი დამანებე! მომეცი.

**ლევ.** ხელი გაუშვი.. ხე .. ა!. (სულს ჩაუბერავს და გაარობს).. გაუშვი ხელი...

(კომისარი წუმწუმას აანთებს).

8.

**ლევ.** რას მიშვრები, ქალო?

**ელენე.** სულ-ერთია, თავს მაინც არ გადავირჩენ!

**ლევ.** (ხელს გაუშვებს) რატომ, ქალო?—რა დაგაისეთი? განა არა მჯერა შენი სიტყვები?

(კომისარი ასანთს გააჩალებს).

**ელენე.** მე ისეთი უბედური ვარ, ისეთი... (გული აუჩვილდება და ატირდება).

**ლევ.** ელენე!..

**კომის.** ის კი...

**ლევ.** (მხოლოდ ეხლა შეამჩნევს, რომ ლადო გაპარულა) სად წავა?! (კარებისაკენ გაექანება, მაგრამ ისევ შედგება) ჯანდაბას მისი თავი!

**კომის.** აი რა გვიყო იმ აურ-ზაურმა!

**ლევ.** არაფერია..

**კომის.** მილიციონერებს მაინც გამოვუყენებ, შეი-ძლება. (მეორე ოთახისაკენ მიდის).

**ლევ.** ნუ სწუხდებით, ბ. კომისარო. (კომისარი შეჩერდება).. ისარგებლა შემთხვევით და რალაი! ეხლა უკვე სამშვიდობოს იქნება გასული.

**ელენე.** ასე გინდოდა შენ!

**ლევ.** (საყვედურის კილოთი) არ გრცხვენია, ელენე?. (პაუზა). თუ კაცი ვარ, ასე ადვილათ არ შევარჩენ შენს შეწუხებას! მიწაში ხომ ვერ ჩაძრება? ცნობით ვიცნობ, საკა უნდა შემხვდეს.

**კომის.** ასეც რომ არ მოხდეს, განა საკმაოდ არ არის დანაყილი?

**ლევ.** შენ რას იტყვი, ელენე?

**კომის.** ელენეს, როგორც სჩანს, უფრო მეტი სასჯელის ლირსათ მიაჩნია.

**ელენე.** რატომ არა?!.. თქვენ რა იცით,—მე რა დღე დამაღდგა! ქმარმაც... (ცრემლები მოერევა)...

**ლევ.** ელენე!. აკი ალვიარებ—შევცდი მეთქი. საქმის ნამდვილი ვითარება რომ მცოდნოდა, განა კრინტს დავსძრავდი? ცოდო დაგწამე, მაგრამ მე კი ვარ იმის კაცი, რომეულ დანაშაული გამოვისყიდო.

**კომის.** მეტი რაღა გინდათ, ქალ-ბატონო ელენე? ჩემის აზრით, თქვენი ქმრის განმარტება სავსებით დამაკმაყოფილებითა.

**ელენე.** მამაკაცები ყველანი ასეთები ხართ.. ერთ-მანეთს უჭროთ მხარს.

**კომის.** (ლიმილით) ტყუილათ გვინიათ აგრე.

**ლევ.** (ელენეს) კარგი, თუ გიყვარდე..

**კომის.** (თავისითვის) კვდება შენი სიყვარულით.. (ჯდება).

**ლევ.** მოიწმინდე ეგ თვალები.

**ელენე.** (თვალებს იწმენდს, მოხებსა და შარფს ისწორებს).

**ლევ.** (ეხმარება) ეგრე....

**კომის.** (ოდნავ იღიმება).

**ლევ.** მე შენი ლევანი არა ვარ?.. (ქუჩაში ეტლი ჩამოივლის) ეტლი!. (ფანჯარას მიადგება და გადასძახებს: დადექი! ეტლი გაეჩერდება). ლამე მშვიდობისა, ბატონო კომისარო (ხელს გაუწოდებს).

**კომის.** (წამოდგება და ხელს ჩამოართმევს) ნახვამდის.

**ლევ.** ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის... აბა, ელენე,— წავიდეთ, გენაცვალე! (კომისარს) იმედია, — არ დაგვძრავთ. ნახვამდის..

**კომის.** გამარჯვებით.

(ლევანი გადის).

**ელენე.** (კომისარს) უსაზღვრო მადლობა.. (ხელს ჩამოართმევს).

**კომის.** (ხელს დაუჭრებს) მეტი არაფერი?!..

(ფ ა რ დ ა).

d.

ინსტიტუტი ჰარმონიულ განვითარებისა.



ფანჯრიდან. როგორც იქნა დავაბინავე ეს სასარგებლო დაწესებულება...

